საქართველოს ადგილობრივ
თვითმმართველობათა ეროვნული
ასოციაცია

საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო

ურთიერთთანამშრომლობის
მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ. თბილისი **24 თებერვალი, 2020 წ.**

ერთი მხრივ, ა.(ა).ი.პ „კავშირი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია“, წარმოდგენილი პრეზიდენტის **კახა კალაძის** სახით, მეორე მხრივ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო წარმოდგენილი მინისტრის **მიხეილ ჩხენკელის** სახით,
ვაცნობიერებთ რა კულტურული მარშრუტების პროგრამის აქტუალურობასა და მისი პოპულარიზაციის საკითხში სახელმწიფოს სხვადასხვა უწყების ურთიერთთანამშრომლობის აუცილებლობას, ვმოქმედებთ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ა.(ა).ი.პ „კავშირი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია“-ს შორის თანამშრომლობა შემდეგი მიმართულებებით:
ა) კულტურული მარშრუტების პროგრამის განვითარება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;
ბ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ჩართულობა ახალი კულტურული მარშრუტების შექმნაში, კულტურული ტურიზმის მიმართულებით ერთობლივი პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში;
გ) საინფორმაციო, მეთოდოლოგიური და სხვა სახის ინფორმაციის გაცვლა;
დ) პარტნიორობა კულტურული ტურიზმის, კულტურული მარშრუტების მიმართულებით საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზებაში;
ე) საზოგადოებრივი საინფორმაციო კამპანიების ორგანიზება ადგილობრივი კულტურული ტურიზმისა და ადგილობრივი კულტურული მარშრუტების შექმნაში;
ვ) ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა გადამზადება, ადგილობრივი კულტურული ტურიზმისა და ადგილობრივი კულტურული მარშრუტების მართვის სფეროში.

მუხლი 2. მხარეთა თანამშრომლობის პრინციპები და ფორმები

2.1.მხარეებს შორის თანამშრომლობა ეფუძნება ურთიერთპატივისცემის, თანასწორობისა და კონფიდენციალურობის პრინციპებს;
2.2. მხარეთა თანამშრომლობა მოიცავს თითოეული მხარის მიერ საკონტაქტო პირების გამოყოფას, რომლებიც წერილობითი მიმართვის საფუძველზე, უზრუნველყოფენ საქმის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას შესაბამისი უწყების საქმიანობის

სპეციფიკის გათვალისწინებით, რათა დროულად და ეფექტურად მოხდეს ინფორმაციის მიწოდება და მემორანდუმის მიზნებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. ერთობლივი ვალდებულებები

3.1. ,,მხარეები'' გამოხატავენ ნებას, მიაწოდონ ერთმანეთს ინფორმაცია სამუშაო პროცესში გამოვლენილი ნებისმიერი საჭიროებისა და სირთულის შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებაზე;
3.2. მხარეები გამოხატავენ ნებას, ხელი შეუწყონ წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

მუხლი 4. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

4.1. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ცვლილება-დამატება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 5. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

5.1. მემორანდუმი შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5.2. ნებისმიერი სადავო საკითხი, რომელიც დაკავშირებულია მემორანდუმთან ან გამომდინარეობს მისგან, უნდა გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. ფორსმაჟორული ვითარების გამო წინამდებარე მემორანდუმით აღებული ვალდებულებების დროებით ან მუდმივად შეუსრულებლობის, ან/და არასრულად შესრულების შესახებ, მხარემ მეორე მხარეს დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება, ასეთი გარემოების, მისი შესაძლო ხანგრძლივობის (თუ შესაძლებელია ხანგრძლივობის განსაზღვრა) და წინამდებარე მემორანდუმზე მისი შესაძლო ზემოქმედების ისევე როგორც ფორს-მაჟორული გარემოების დასრულების შესახებ.

მუხლი 7. მემორანდუმის მოქმედების ვადა

7.1. მემორანდუმი ძალაში შედის მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოდ.
7.2. მემორანდუმი შესაძლებელია შეწყდეს ურთიერთშეთანხმებით, ან ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მემორანდუმიდან გასვლის თაობაზე არანაკლებ ერთი თვით ადრე, მეორე მხარესთან წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შედეგად.
7.3 მემორანდუმის მოქმედება ვადაზე ადრე წყდება მეორე მხარის მიერ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდეგ.

მუხლი 8. გარდამავალი დებულებანი

8.1. მემორანდუმის გაუქმების შემდეგ მხარეებმა უნდა განახორციელონ ყველა აუცილებელი ღონისძიება მემორანდუმის ფარგლებში დაწყებული აქტივობების დასასრულებლად;
8.2. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

მუხლი 9. მხარეთა ხელმოწერები

9.1. წინამდებარე მემორანდუმის პირობებზე შეთანხმების დასადასტურებლად მემორანდუმს ხელს აწერენ:

ა.(ა).ი.პ „კავშირი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია“	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
პრეზიდენტი **კახა კალაძე**	მინისტრი **მიხეილ ჩხენკელი**
----------	----------